

აპრილი, 2026 კლიმატური დახასიათება

2026 წლის აპრილში საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის ფორმირებას ძირითადად განსაზღვრავდა აღმოსავლეთ ევროპის ვაკეზე განვითარებული ციკლონების სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე ჩამოყალიბებული ფრონტალური სისტემების გავლენა. აღნიშნულ სინოპტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა გრილი და ნალექიანი დღეები, ლოკალურად უხვნალექიანი ეპიზოდებით. ნალექიან პერიოდებს შორის ადგილი ჰქონდა ანტიციკლონური პირობების გავლენას, მისთვის დამახასიათებელი მოწმენდილი ამინდებით და ღამის საათებში დაბალი ტემპერატურებით.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე 2026 წლის აპრილი საკმაოდ გრილი იყო. მრავალწლიურ ჭრილში, უკანასკნელ 70-წლიან პერიოდში, დაწყებული 1956 წლიდან ეს იყო რიგით 16-ე, ხოლო 2015 წლის შემდეგ - ყველაზე გრილი აპრილი (ნახ.2).

მიწისპირა ატმოსფერული ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ნორმაზე დაბალი იყო (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ -1.5 [-0.1 -დან -2.7 -მდე] $^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი უარყოფითი გადახრებით დასავლეთ საქართველოში: კოლხეთის დაბლობზე და დასავლეთ კავკასიონის მთიან რაიონებში, აღმოსავლეთში: მცხეთა-მთიანეთში. აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის დადებითი ანომალიები ქვეყნის ფარგლებში არ დაფიქსირებულა.

აპრილის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე $+10$, $+13^{\circ}\text{C}$, მთიან რაიონებში $+6$, $+9^{\circ}\text{C}$, ხოლო ქვეყნის მაღალმთიან ნაწილში $+2$, $+5^{\circ}\text{C}$ ფარგლებში აღინიშნა.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის ფარგლებში თვის პირველ ან ბოლო რიცხვებში (3-4 ან 26-30 აპრილი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას აპრილის თვეში ადგილი არ ჰქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს $+26$, $+30^{\circ}\text{C}$ შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე მიაღწია.

აპრილში ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის შუა რიცხვებში (15-16 აპრილი) დაიკვირვებოდა, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მაღალი წნევის არის დამყარებას და აბსოლუტური მინიმუმები მთიან და მაღალმთიან ზონაში -3 , -7°C , ხოლო ზოგან -8 , -14°C -მდე დაეცა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას აპრილის თვეში, არც მინიმუმების შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

ნალექების რაოდენობის მიხედვით, 2026 წლის აპრილის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმაზე საკმაოდ მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ეს იყო რიგით მე-7, ხოლო 2015 წლის შემდეგ - ყველაზე ნალექიანი აპრილი (ნახ.2).


ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა აჭარის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე, სადაც ნალექების თვის ჯამები ნორმალურ მნიშვნელობებს 2-2.5-ჯერ აღემატებოდა, ნალექების მაქსიმალური რაოდენობით (200-260 მმ) კოლხეთის დაბლობზე. ქვეყნის აღმოსავლეთში ნორმაზე მეტი (30-60%-ით) ნალექი კახეთში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში მოვიდა. შედარებით მშრალი პირობები აღინიშნა ქვემო ქართლის მხარეში, სადაც ცალკეულ რაიონებში ნალექების გარკვეული დეფიციტი (კლიმატური ნორმის 80%-მდე) დაიკვირვებოდა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის აპრილის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა საქართველოში განპირობებული იყო ძირითადად, ნალექიან დღეთა სიხშირით, მათ შორის, ხანგრძლივი გადამშლად ნალექიანი პერიოდებით (აჭარაში და კოლხეთის დაბლობზე თვის პირველ ნახევარში ზოგან 10 დღემდე). ამასთან, აღინიშნა უხვნალექიანი ეპიზოდებიც, როდესაც დღე-ღამეში თვის ნორმის 40-50% ნალექი მოვიდა.


7 აპრილს დაისეტყვა კახეთის და ქვემო ქართლის ცალკეული სოფლები. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ვენახები.

9-13 აპრილს გადამშლად ნალექიანი ეპიზოდი აღინიშნა კახეთის და ქვემო ქართლის უმეტეს რაიონში, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის უხვი ნალექებით კახეთის რეგიონში. მაღალი ინტენსივობის ნალექს 12-13 აპრილს თან მოჰყვა წყალმოვარდნები გურჯაანის, ყვარლისა და ლაგოდეხის

მუნიციპალიტეტებში. ადგილობრივი მასმედიის ცნობით, დაზიანდა ინფრასტრუქტურა და დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ყვარლის მუნიციპალიტეტში განადგურდა ვენახები და მრავალწლიანი კულტურები. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების ცალკეულ მონაკვეთებზე შეიზღუდა მოძრაობა, მათ შორის ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან ნაწილში, ქარბუქისა და შეზღუდული ხილვადობის გამო.



ნახ.1. აპრილის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმოსფერული ნალექების აპრილის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში